მუსიკალური და არამუსიკალური ბგერების აღქმის თავისებურებები ბავშვებში

მაგდა თხილავა
აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერისტეტი
ქუთაისი, საქართველო
e-mail: magda.tkhilava@atsu.edu.ge
https://doi.org/10.52340/lac.2026.11.15

სიტყვა „ბგერა“ ორ ცნებას მოიცავს: 1. ბგერა, როგორც „ფიზიკური მოვლენა“, რომელიც დრეკადი სხეულის ვიბრაციით წარმოიქმნება და 2. ბგერა, როგორც „შეგრ-ძნება“, რომელიც სმენის ორგანოებით აღიქმება. ბგერის აღქმა რთული ფსიქოფიზიო-ლოგიური პროცესია, ის ბავშვის ნერვული სისტემის მომწიფების პარალელურად ვითარდება.

ბგერა ხვდება ყურის გარეთა ნაწილში - ნიჟარაში, რომლის მეშვეობითაც გადადის ყურის მილში, მილის ბოლოში მდებარე დაფის აპკი განიცდის რხევას და ასე აღვიქვამთ ბგერას. ბგერის აღქმა უკავშირდება სმენას. სმენა არის უნარი ხმოვანი სამყაროს აღქმისა. ბგერები, რომლებსაც ვისმენთ, ჩვენზე ახდენენ ემოციურ ზემოქმედებას.

ადამიანი განიცდის ხმათა მრავალფეროვნებას: ოჯახის წევრების, მეგობრების, სხვადასხვა ნივთების ჭრიალის, ცხოველებისა და ფრინველების ხმები და ა. შ. ანუ, ადამიანი დაბადებისთანავე იმყოფება მრავალფეროვან აკუსტიკურ სივრცეში, რომე-ლიც სავსეა მუსიკალური და არამუსიკალური ბგერებით.

მუსიკალური ხელოვნება რიტმულად და ინტონაციურად ორგანიზებული ბგერებისგან შედგება, რომლებიც გავლენას ახდენენ ჩვენს გრძნობათა ორგანოებზე და გამოხატავენ ადამიანის შინაგან ემოციურ მდგომარეობას. გარკვეული სიმაღლის მქონე ბგერას, რომელსაც ვიმღერებთ ან ნოტებით ჩავწერთ, **მუსიკალური ბგერებია.** ისინი ჰაერის თანაბარი რხევით წარმოიშობა, წარმოადგენს თანაბარი ფორმისა და სიგრძის დრეკადი ტალღების თანმიმდევრობას, თუმცა მათ შესაძლოა ახასიათებდეს სხვადასხვა სიჩქარე (ნელი, ჩქარი), რაც წარმოქმნის მაღალ და დაბალ ბგერებს. მუსიკალური ბგერები ადამიანის სასიმღერო ხმის ან სხვადასხვა სამუსიკო ინსტრუ-მენტის საშუალებით წარმოიქმნება. მუსიკალური ბგერების აღქმა ბავშვებში ადრეულ ასაკში ვლინდება. ბგერებს, რომლებსაც არ გააჩნიათ გარკვეული სიმაღლე, მაგრამ ახასიათებთ გამოსახვის საშუალება, როგორიცაა კაკუნი, შრიალი და ა. შ. –

არამუსი-კალური ბგერებია. ისინი არათანაბარ ტალღათა თანმიმდევრობას წარმოადგენენ. მათ იმიტაციის სახით იყენებენ კომპოზიტორები გარკვეული ეფექტის შესაქმნელად.

მუსიკალურ ბგერას ოთხი თვისება გააჩნია: **სიმაღლე** (რხევათა სიხშირეზეა დამოკიდებული), **სიძლიერე** (რხევითი მოძრაობის ენერგიაზეა დამოკიდებული), **გრძლიობა** (ბგერის ხანგრძლიობის მაჩვენებელია, ჰაერის რხევის ხანგრძლიობაზეა დამოკიდებული) და **ტემბრი** (ბგერის ხარისხობრივი მხარეა, ბგერის ელფერს განსაზღვრავს. ყოველი ადამიანი და მუსიკალური საკრავი გამოირჩევა თავისი ტემბრით, ელფერით).

მუსიკალური ბგერა სიმაღლის მიხედვით არის მაღალი, საშუალო სიმაღლის და დაბალი. ბავშვებთან საუბრისას, ბგერა, შეიძლება შევადაროთ სხვადასხვა მოვლენას (წვიმის წვეთების ხმას, ფოთლების შრიალს, მდინარისა და ზღვის ტალღების ხმაურს...) ცხოველსა და ფრინველს... მოვასმენინოთ მოსწავლეებს ნაირგვარი ხმები (შინაური და გარეული ფრინველები, ცხოველები), შემდეგ ვთხოვოთ მათ, თავად განასახიერონ და გაახმოვანონ ცხოველები და ფრინველები, რომლებიც გამოსცემენ შესაბამისი სიმაღლის ბგერებს.

როგორც ილია ჭავჭავაძე იტყოდა - ბავშვობა ის კვირტია, რომლისგანაც მშვენი-ერი მტევანიც გამოვა და ძაღლყურძენაც. ამიტომ, ბავშვობის ასაკი საკვანძო ეტაპია ადამიანის ცხოვრებაში. პიროვნების ჰარმონიულ განვითარებაში მნიშვნელოვანი როლი მიეკუთვნება მუსიკალურ ხელოვნებას. ქართული საბავშვო მუსიკა ძალიან მდიდარია რეპერტუარით და გამორჩეულია ჟანრული მრავალფეროვნებით.

ბავშვის მუსიკალურ განვითარებაში მნიშვნელოვან როლს თამაშობს საბავშვო თეატრი. პროფესიულმა პასუხისმგებლობამ უბიძგა ბევრ კომპოზიტორს დაეწერა საბავშვო ოპერა. საოპერო სპექტაკლის პირველი ნახვით მიღებული შთაბეჭდილება ხშირად გადამწყვეტია. ის განსაზღვრავს ბავშვის დამოკიდებულებას ისეთი რთული, სინთეზური ჟანრისადმი, როგორიცაა ოპერა, რაც ხელს შეუწყობს კულტურული აუდიტორიისა და ღირსეული შემფასებლების აღზრდას.

საინტერესოა კომპოზიტორ ალექსანდრე ბუკიას საბავშვო **ოპერა - „დაუპატიჟე-ბელი სტუმრები“** (ტექსტის ავტორი - ე. ალექსანდროვა, ლიბრეტო - ლ. ესაკია, დ. გაჩეჩილაძე), რომელმაც დიდი წარმატება მოუტანა ავტორს. ოპერაში გადმოცემუ-ლია ბავშვების ბრძოლა მღრღნელ მახრებთან, რომლებიც ანადგურებენ მცენარეებს. ოპერის საორკესტრო შესავალი გვიხატავს დილის ულამაზეს სურათს. ვიოლინოების ტრემოლოები და ფორშლაგები ჩიტების ჭიკჭიკის იმიტაციას აღწერს, რითაც კომპოზიტორი აძლიერებს დილის რიჟრაჟის რეალურ სურათს. საინტერესოა საგუნ-დო სიმღერა „ჩიტების მისალმება“, სადაც ჩიტების გუნდი მხიარული ფერხულით ესალმება გარიჟრაჟს.

კომპოზიტორ ვანო გოკიელის შემოქმედებაში პოპულარულია **ოპერა „წითელქუდა“** (ზღაპრის ავტორი - შარლ პერო, ტექსტის ავტორი - გრიგოლ აბაშიძე). მასში ავტორმა ლიტერატურული ზღაპრისგან განსხვავებით, მოქმედების განვითა-რების მიზნით, სხვადასხვა სცენა და პერსონაჟი დაამატა. მაგალითად, ტყის სცენები, ბებიას სცენა, წითელქუდას მეგობრები: ინდაური, მამალი, ქათმები. ოპერაში კეთილი წითელქუდა და მამალი უპირისპირდებიან ბოროტ მგელს და მელას. თითოეული მათგანის დასახასიათებლად კომპოზიტორი შესატყვის მუსიკალურ მასალას და მუსიკალურ საკრავს იყენებს. გრძელი საორკესტრო შესავლის შემდეგ ჟღერს მამლის ორიგინალური გადაძახილები, რაც კოლორიტულ ელფერს ანიჭებს სოფლად განთი-ადს. მამალი ყველას ამცნობს გათენებას. წითელქუდას ეზოში იკრიბებიან მისი მეგობრები: მამალი, ინდაური, ქათმები...

კომპოზიტორმა მერი დავითაშვილმა დაუვიწყარი მუსიკალური სახეები შექმნა **ანიმაციურ ფილმებში.** მათ შორის ყურადღებას იმსახურებს **„წუნა და წრუწუნა“** (ავქსენტი ცაგარელის ნაწარმოების მიხედვით), რომლის მუსიკაც კომიკური, ამავდროულად კონტრასტული ხასიათით გამოირჩევა. კომპოზიტორი ხშირად მიმართავს საუბრის მსგავს მუსიკალურ ინტონაციებს. პერსონაჟების დასახასი-ათებლად ავტორი იყენებს ტემპობრივ, მელოდიურ და დინამიკურ კონტრასტებს. კომიკური ეფექტების მისაღებად მიმართავს მსუბუქ დასარტყამ საკრავებს. ფორტეპიანოს პარტია პერსონაჟთა ხასიათის სწრაფ ცვლილებებს გადმოგვცემს. წუნას ბუზღუნა დახასიათებისთვის კომპოზიტორი იყენებს დაბალ რეგისტრს, მძიმე, ნელ რიტმს, წუნას ბუნების გადმოსაცემად ავტორი მიმართავს საკრავებს - ჩელოს ან ალტს. ცელქი წრუწუნას მუსიკა გამოირჩევა მოძრავი, მსუბუქი ხასიათის მელოდიით, ავტორი ირჩევს მაღალ ან შუა რეგისტრს და მიმართავს საკრავებს - ფლეიტას ან კლარნეტს.

ანიმაციური ფილმის - „ჩხიკვთა ქორწილის“ (ვაჟა ფშაველას ნაწარმოების მიხედვით) მუსიკა (კომპოზიტორი მერი დავითაშვილი), მხიარული, ცოცხალი ხასიათით, საცეკვაო რიტმებით გამოირჩევა. ფილმში თითოეულ ფრინველის დასახასიათებლად მერი დავითაშვილი იყენებს მათ შესატყვის მუსიკალურ საკრავებს, რაც ხელს უწყობს, ბავშვებმა ზუსტად აღიქვან ფრინველთა ბუნება და მათი ხმის ტემბრი. ჩხიკვის დახასიათებისთვის ავტორი იყენებს სალამურს, რომელიც ზუსტად აღწერს ჩხიკვის ჭიკჭიკს. მისი მელოდია გამოირჩევა სწრაფი ტემპით და მხიარული ხასიათით. ჩონგურის მშვიდი და თბილი ჟღერადობა ბეღურას მეგობრულ ხასიათს გადმოგვცემს. მერცხლის მელოდია კი, მის სწრაფ ფრენას მიუთითებს, რომელსაც ფანდური ასრულებს. გუდასტვირის დაბალი ტემბრი ბუს სიბრძნეზე მიუთითებს. კომპოზიტორი ყვავის დახასიათებისთვის მიმართავს დოლის

ძლიერ ხმოვანებას. ჩხიკვების მოუსვენარი ბუნების გადმოსაცემად ავტორი იყენებს სწრაფ ტემპს, ფრინველთა ხმების იმიტაციისთვის - მაღალ რეგისტრს, ქორწი-ლის განწყობის გადმოსაცემად გამოყენებულია მკვეთრი, საცეკვაო რიტმი, რომელსაც მსუბუქი დასარტყმელები ასრულებენ. ჩხიკვების ჭიკჭიკის იმიტაციისთვის კომპო-ზიტორი მიმართავს ინსტრუმენტ ფლეიტას. საფორტეპიანო პიესების აკორდები ხტუნვის ეფექტს ქმნიან. ანიმაციაში ჩხიკვები გვევლინებიან მხიარულ, მაგრამ ცოტა ჭირვეულ პერსონაჟებად. გაკვეთილზე საინტერესო აქტივობა შეიძლება განხორცი-ელდეს. მოსწავლეებს მოვასმენინებთ სხვადასხვა საკრავის ჟღერადობას და ვთხოვთ მათ, დაასახელონ, რომელი ფრინველის დახასიათებაა შესაძლებებლი აღნიშნული ინსტრუმენტით და შევთავაზოთ მათ, განასახიერონ აღნიშნული ფრინველი.

ქართული საკრავიერი მუსიკა მდიდარი და მრავალფეროვანია საბავშვო რეპერ-ტუარით, სადაც ბლომად ვხვდებით მუსიკალური და არამუსიკალური ბგერების აღქმის მაგალითებს. მაგალითად, შალვა თაქთაქიშვილის საფორტეპიანო **პიესა „ჭრიჭინების ცეკვა“,** რომელშიც მარჯვენა ხელის სწრაფი ტერციებით, სტაკატოებზე შესრულებული საცეკვაო რიტმი, აკომპანიმენტის მკვეთრი ფორშლაგები, შესანიშნავად ასახავს ჭრიჭინების ცეკვას.

სულხან ნასიძის საფორტეპიანო **პიესა „წვიმა“,** შესანიშნავი მაგალითია არამუსიკალური ბგერების იმიტაციით გადმოცემა-აღქმისა. აღნიშნული პიესა ნამდვილად მოგვაგონებს წვიმის წვეთების ცეკვას. ამ ნაწარმოებით მოსწავლეები ეცნობიან სტაკატოს შესრულებას სიმებიანთა პიციკატოს მსგავსად, რომელიც ფორშლაგებით ზუსტად გადმოგვცემს ასხლეტილი წვიმის წვეთების სურათს.

ნოდარ მამისაშვილის **პიესა „სტუმრად ჩიტუნებთან“** ფრინველთა სამეფოს შესანიშნავი მუსიკალური ჩანახატია. საინტერესოა ნაწარმოების მოძრავი ხასიათის მღერადი მელოდია, რომელიც შეკავებული ბანების ფონზე მაღალ რეგისტრში ჟღერს, ხან კი ფორშლაგებიანი სეკუნდური წყობის აკორდები სტაკატოებით გადმოცემენ მხიარული ჩიტების ჭიკჭიკის იმიტაციას.

ქართულ საფორტეპიანო მუსიკის ერთ-ერთი საინტერესო ნიმუშია კომპოზი-ტორ ტარიელ ბაქრაძის მხიარული ხასიათის **პიესა „ცხენოსნები“.** აკომპანიმენტის კვინტებით მოძრაობა მოგვაგონებს ცხენისთვის დამახასიათებელ თქარათქურს. აღმავალი მიმართულებით მოძრავი ორხმიანი მელოდია ძალიან დინამიურია. პიესა გამოირჩევა ორიგინალური რიტმული თავისებურებებით, რაც კიდევ უფრო ძლიერს და შთამბეჭდავს ხდის ცხენების თქარუნის იმიტაციას.

კომპოზიტორები სხვადასხვა პერსონაჟის დასახასიათებლად საგანგებოდ ირჩევენ მათთვის შესაფერ საკრავს და იმიტაციით ახმოვანებენ ზღაპრის გმირებს, ადამიანებს,

ცხოველებს, ფრინველებს, ბუნების მოვლენებს, სხვადასხვა ტრანს-პორტს... ანუ მუსიკალური ნაწაარმოებების ავტორები მრავალფეროვანი საკრავების დახმარებით აკეთებენ ამ ხმების იმიტაციას, რაც მნიშვნელოვნად უწყობს ხელს ბავშვებში მუსიკალური და არამუსიკალური ბგერების აღქმას.

მაშასადამე, მუსიკალური და არამუსიკალური ბგერები ბავშვებში მნიშვნე-ლოვან ინტერესს იწვევს. მათი დახმარებით მოზარდები სწავლობენ ხმათა მრავალფეროვნებას და მათ ჟღერადობას, ხელს უწყობს მუსიკალური ინსტრუმენტების ტემბრის გაცნობისადმი ინტერესს, ყურადღების მობილიზაციას, ემოციური და კოგნიტური რეაქციების გააქტიურებას, სენსორულ განვითარებას, შემოქმედებითობისა და ემოციური ინტელექტის ზრდას, ლექსიკური მარაგის განვითარებას, გარემოსთან ბავშვის ადაპტაციის უნარის განვითარებას...

საკვანძო სიტყვები: მუსიკალური ბგერები, არამუსიკალური ბგერები, ანიმაციური ფილმების მუსიკა, საბავშვო ოპერები

ლიტერატურა:

1. კაკაბაძე ვ. მუსიკის ფენომენი. ქუთაისი, 1993
2. მელაძე დ., თაბაგარი თ. მუსიკის ელემენტარული თეორია. თბილისი, 2009
3. მუსიკის რეპეტიტორი. განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი. თბილისი, 2016
4. https://mes.gov.ge/uploads/files/gzamkvlevi/%E1%83%9B%E1%83%A3%E1%83%A1%E1%83%98%E1%83%99%E1%83%90-%E1%83%93%E1%83%90%E1%83%AC%E1%83%A7%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98%E1%83%97%E1%83%98.pdf

Magda Tkhilava
Akaki Tsereteli state University
Kutaisi, Georgia
e-mail: magda.tkhilava@atsu.edu.ge
https://doi.org/10.52340/lac.2026.11.15

Peculiarities of perception of Musical and non-musical Sounds in Children

Abstract

The word „sound“ encompasses two concepts:1. Sound as a „physical phenomenon“ produced by the vibration of an elastic body, and 2. Sound as a „sensation“ that is perceived by the auditory organs. Sound perception is a complex psychophysiological process, it develops is parallel with the maturation of the childs nervous system.

Humans experience a variety of soumds. From birth, they are immersed in a diverse acoustic space, which is full of musical and non-musical sounds.

Musical art plays an important role in the harmonious development of a person. Georgian childrens music has a very rich repertoire and is distinguished by its genre siversity.

Music from the animated film „The Wedding of the Chkhikvta“ (composer Meri Davitashvili), it is distinguished by its cheerful, lively character and dance rhythms. To describe each bird in the film, the author uses their corresponding musical instruments, this helps children accurately perceive the nature of birds and the timbre of their voices. To describe the chirping, the author uses a slang term that accurately describes the chirping of the chirping bird. The calm and warm sound of the sparrow conveys the sparrows friendly nature. The swallows melody, which is played by the fanduri, refers to its swift flight. The low timbre of the horn indicates the wisdon of the owl. The composer uses the powerful sound of the drum to characterize the crow. To imitate the chirping of crickets, the composer uses the instrument flute.

In the Georgian childrens piano repertoire, we find many examples of musical and non-musical sounds. For example Sulkhan Nasidzes piano piece „Rain“. This piece introduces students to playing staccato, similar to string pizzicato, which accurately conveys the image of bouncing raindrops with forceps. Therefore, musical and non-musical sounds arouse significant interest in children. They learn about the variety of sounds and their timbre, helfs activate emotional and cognitive reactions, sensory development, emotional intelligence, increases the childs ability to adapt to the environment…

Keywords: Musical sounds, non-musical Sounds, music of animated films